საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 32 (1433) | 30. IX—6. X, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას რო ხელი მოვაწერო, მერე მე არაფერი მამივა?



ფოტონოველები

მარჯვენა თვალი
მითამაშებდეს –
ისევ ამირჩევენ,
მარცხენა თვალი
მითამაშებდეს –
ისევ დამიჭერენ.

პარლამენტში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო,
რა გაძინებს ნიკო მერო, ვავა ნანინაო.

გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, რესპუბლიკურ გაზეთს იქნება ნაკლებად აინტერესებდეს ერთი კონკრეტული რაიონის პრობლემები, მაგრამ მაინც გიგზავნით ამ მასალას გამოსაქვეყნებლად, ვინაიდან უკანდაბრუნებულმა კომუნისტებმა სიღნაღის რაიონში უკვე მოახერხეს ძველი „ნანატრი“ დროის დიქტატურის აღდგენა. ეს პრობლემა, ვფიქრობ ყველა რაიონისათვის საერთოა. თითქმის ყველგან ყოფილი ნარაიკომისმდივნელები მოუვლინეს ხალხს და თითქმის ყველგან იგივე ხდება (ალბათ გამონაკლისებიც იქნებიან), რაც ჩვენს პატარა რაიონში.

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილის გამოქვეყნებას.

პატივისცემით თ. ბეჟაური

რედაქციისაგან:

ძვირფასო მკითხველებო, გვსმენია, ამა და ამ კაცს არავინ და არაფერი არ უყვარსო, მაგრამ ისე როგორ უნდა გძულდეს საკუთარი სამშობლო, რომ გაზეთის დევიზი — „სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“, გაზეთის სატიტულო გვერდიდან ამოაგდო. დანარჩენს ქვემოთწარმოდგენილ კორესპონდენციაში გაეცნობით...

სამშობლო დედის ძუძუი, თურმე იცვლება სხვაზედა

ერთ პატარა რაიონში, როგორიც სიღნაღის რაიონია, უკანასკნელ ხანს ისეთი მასშტაბები შეიძინა პოლიტიკურმა ძვრებმა, მისი განზოგადება არ იქნებოდა ურიგო, თუმცა თვით ადგილობრივი ხელისუფლებაც ყველაფერს აკეთებს, რომ მთელ რესპუბლიკას შეუმჩნეველი არ დარჩეს და საჭიროების შემთხვევაში განზოგადდეს კიდეც.

მაგრამ ვაი რომ არიან „ზოგ-ზოგნი“, ვერაფერ კარგს ვერ დაანახვებ დღენიადაგ უკმაყოფილონი არიან, ონკანში წყალი რომ მოჩხრიალებს ვერ ხედავენ, ვერ გრძნობენ, ელექტროენერგია როცა არის, ეს იქნება კვირაში ერთხელ თუ თვეში ერთხელ, ვერ ხვდებიან, რომ გამგებელი ვინც არის, ის რომ არ იყოს, ესეც არ ექნებოდათ.

როცა დემოკრატია არ იყო, მაშინ, კომუნისტების დროს, წყალიც იყო, გაზიც, ელექტროენერგიაც და საერთოდ ყველაფერი.

ეროვნულმა მოძრაობამ დაანგრია ქვეყანა და ახლა პატიოსანმა პატრიოტმა კომუნისტმა ფუნქციონერებმა რაღა ქნან.

აი ის ბაზისი, რაზედაც აგებულია მათი მოღვაწეობის პერსპექტივა და მოსახლეობის უმოწყალოდ გაბიაბურება.

ყოველივე აღნიშნულის გამო რეალურად

დასასრული მე-8 გვ.

რეკორდი

მსოფლიოს არცერთ ძალოვან უწყებას ისეთ მცირე დროში არ გაუხსნია ტერორისტული აქტები, როგორც ეს ჩვენს სინამდვილეში მოხდა...

1 995 წლის 29 აგვისტო, თბილისი

როგორც ამას წინათ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გვამცნეს, საქართველოს პოლიციამ ორ კვირაში გახსნა ოთხი ტერორისტული აქტი, რაც მსოფლიოში უნიკალური შემთხვევაა. მსგავსი წარმატებისთვის არც ამერიკულ FBI-ს, არც სკოტლანდ-იარდს, და არც საფრანგეთის „სიურტეს" არ მიუღწევია. მოკლედ, ერთი პოპულარული კინოფილმის პერსონაჟისა არ იყოს: მგონი მსოფლიო რეკორდთან გვაქვს საქმე...

ტერორისტების დაპატიმრება, რასაკვირველია, კარგი ამბავია და პოლიცია, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, მართლა იმსახურებს საქებარ სიტყვას. ოღონდ შარიან ხალხს ამქვეყნად რა გამოლევს. ჰოდა, დადიან ვიღაც-ვიღაცეები და ავრცელებენ ხმებს: მაგათმა (იგულისხმება როგორც პოლიცია, ისე შევარდნაძე) დიდი ხანია იცოდნენ ტერორისტების ვინაობა, მაგრამ მომენტს უცდიდნენ — სანამ სახელმწიფოს მეთაურზე არ აღმართეს ხელი, ნახევარი საქართველო ისე გააჟუჟინეს, უბატონოდ ხმას არ სცემდნენო.

აქ ისევ ზემოთნახსენები კინოფილმის, კერძოდ, ჩეხური პირველწყაროს მეგრელიზებული ეკრანიზაციის ანალოგია ჩნდება: ფილმში რეკორდსმენი თავის უნიკალურ შედეგს ვერ უჩვენებს, თუ ერთი გემრიელად არ შეაგინე. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, ამხანაგი ღინტუ კი სანამ გაარკვევდეს, რეკორდი რა ხილია, რეკორდსმენ ჯოკის კრიმინალური ქმედების გამართლებას ცდილობს და დაზარალებულ დურუ ხუნჭუას ამტყუნებს: შეაგინა და აბა რას უზამდაო...

ჩვენს ტერორისტებსაც დურუ ხუნჭუასავით მოსვლიათ. აბა რა ეგონათ, სახელმწიფოს მეთაურს რომ დაუპირეს აფეთქება. შევარდნაძეც ადამიანია ბოლოს და ბოლოს, გააბრაზეს და აბა რას იზამდა: მკლავდნენ ეს შეჩვენებულები, გაიფიქრა და დააჭერინა... ისე, რას არ ჩაიდენ კაცი ჯავრიანგულზე: შეიძლება მსოფლიო რეკორდსაც გამოჭკრა ხელი.

თუმცა აქვე იბადება ხხვა ანალოგია, რომელიც კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის მეთოდების ხანგრძლივ ტრადიციებზე მეტყველებს. ცნობილი ქართველი მოღვაწე, რეზო გაბაშვილი თავის მემუარებში იხსენებს, რომ 1918-21 წწ თბილისის პოლიციის უფროსი ყოფილა ვინმე პავლე ფაჩულია. ხელისუფლებაში მოკალათებულ თოფოსანთა თარეში, ეტყობა მაშინაც ჩვეულებრივი ამბავი იყო (როცა მენშევიკების გვარდია მთავრობის რეზიდენციას იცავდა, ერთ პატიოსან კაცს, თ-დ ვაჩნაძეს უთქვამს ნოე რამიშვილისთვის: ვინც ყაჩაღები ხართ, ყველა მთავრობაში ზიხართ და ეგ დაცვა რად გინდათ, მცხეთის მთავარეპისკოპოსი ხომ არ დაგესხმებათ თავსო!...). ჰოდა, ერთხელაც, ელბაქიძის დაღმართზე თურმე ირანის ელჩი დააყაჩაღეს. ინციდენტი გახმაურდა. ელჩმა სკანდალი მოაწყო, მაგრამ პოლიციის ობერატიულ ღონისძიებათა შედეგად მძარცველები მეორე დღესვე დააკავეს, ნაქურდალი პატრონს დაუბრუნეს. თვით ფაჩულია კი ასეთი წარმატებული „რაუნდისათვის" მედლით დააჯილდოვეს. თუმცა ბოროტ ენები ამბობდნენ: ეგ ყაჩაღები ფაჩულიას ხალხი იყო და ნაყაჩაღარიც ხახვივით შერჩებოდათ, ამხელა ამბავი რომ არ ამტყდარიყო...

ამის შემდეგ თბილისში ახალი ანეგდოტი გავრცელებულა: ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის პოლიციის კომისარი, ინგლისის სკოტლანდ-იარდის შეფი და პავლე ფაჩულია. ფრანგმა თქვა: ჩვენთან რა დანაშაულიც არ უნდა მოხდეს, ოც დღეში გავხსნითო. ინგლისელმა — ჩვენთვის ორი კვირაც საკმარისიაო. ფაჩულიამ კი გაიცინა: ეგ რა არის, ჩვენ ერთი კვირით ადრე ვიცით, სად რა დანაშაული მოხდება და ამაში მთავრობა მედლებს გვაძლევსო...

ერთი სიტყვით ისტორია მეორდება. ყველაფერი ახალი, მათ შორის ზოგიერთი მსოფლიო რეკორდიც — კარგად დავიწყებული ძველია. ოღონდ აქ უკვე იმდენი ანალოგიები ამოტივტივდება, ჯობს სიტყვა აღარ გავაგრძელოთ, თორემ ერთხელაც იქნება და ვიღაც ინტრიგანი იკითხავს: თქვენ თუ ნორმალური ხალხი ხართ, ჭკუა რით ვერ ისწავლეთ — იძახით ჭაობიდან ამოვდივართო და ამ მიზნით ისევ ჭაობში რაღას ყვინთავთო...

სხვათა შორის, ალბათ ესეც მსოფლიო რეკორდია, როცა ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლას ახერხებ.

მ.კალმახიძე

ცუდი მაგალითი გადამდებია

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ერთადერთი კითხვით მიმართა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრს, პარლამენტის წევრს — საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარეს — ვახტანგ ხმალაძეს.

— ბ-ნო ვახტანგ, გთხოვთ თეზისურად ჩამოგვიყალიბოთ, რა გააკეთეს „რესპუბლიკელებმა" პარლამენტში და რისი გაკეთება ვერ შეძლეს?

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის ორასზე მეტი წევრისაგან „რესპუბლიკელი" მხოლოდ ოცდაერთია, ჩვენი წვლილი საკანონმდებლო საქმიანობაში განუზომლად უფრო დიდია. არ ყოფილა არც ერთი კანონი, რომლის გაუმჯობესებაშიც „რესპუბლიკელებს" მონაწილეობა არ მიეღოთ. თუმცა, ჩვენი მცირერიცხოვნობის გამო რიგი პრინციპული გადაწყვეტილება ან არ იყო მიღებული (მაგალითად, კანონები საგადასახადო სისტემის გამარტივებისა და გადასახადების შემცირების შესახებ, თვითმართველობის შესახებ, მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა და სხვა) ან მიღებულ იქნა დიდი დაგვიანებით (ეროვნული ვალუტის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების შესახებ. ე.წ. ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის დაუშვებლობის შესახებ, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ — „რესპუბლიკელებმა" — ვერ შევძელით კონსტიტუციით საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკის დამკვიდრება, დიდი წვლილი შევიტანეთ კონსტიტუციის იმ ნაწილის გაუმჯობესებაშიც, რომელიც პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, რითაც თავიდან ავიცილეთ უპასუხისმგებლო პრეზიდენტისა და მთავრობის არსებობა. მივაღწიეთ იმას, რომ არ დაკანონებულიყო საქართველოში ფედერალიზაცია. მივაღწიეთ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ნორმების დაკანონებას, პროკურატურის განუსაზღვრელად დიდი უფლებების შეზღუდვას, ეროვნული ბანკის, საფინანსო კონტროლის სისტემისა და სასამართლოთა დამოუკიდებლობის გარანტიების დაკანონებას, „რესპუბლიკელების" მიერ მომზადებული პროექტი დაედო საფუძვლად პარლამენტის არჩევნების კანონს.

„რესპუბლიკელების" წინადადებით შევიდა ცვლილებები, თუმცა არასრული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და რაც პარლამენტმა უარყო 1995 წლის აპრილში, შევიდა კონსტიტუციაში.

„რესპუბლიკელები" თანმიმდევრულად მოვითხოვდით და მოვითხოვთ აფხაზეთთან მიმართებაში დანაშაულებრივი სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლას, სამხედრო ძალთა მშენებლობის სწორად წარმართვას, რუსეთთან ურთიერთობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპულად დაცვას და ყოვლად გაუმართლებელი დათმობების უარყოფას. „რესპუბლიკელები" თანმიმდევრულად მოვითხოვდით და მოვითხოვთ კანონის განუხრელად დაცვას, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი თანამდებობის პირთაგან, ხელისუფლების გაწმენდას მექრთამეთა და უპასუხისმგებლოთაგან, მეწარმეთა დაცვას სახელმწიფო და არასახელმწიფო რეკეტისაგან, ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მისი სოციალური დაცვის მექანიზმების შექმნას.

ვახტანგ ხმალაძე:

არ ყოფილა არცერთი კანონი, რომლის გაუმჯობესებაშიც „რესპუბლიკელებს" მონაწილეობა არ მიეღოთ

გურამ ბერიშვილი:

ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობს...

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის შესახებ გვესაუბრება გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის რწმუნებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, დეპუტატი, ბატონი გურამ ბერიშვილი:

ლარის უარმყოფელობა 2 წლის დაპატიმრებით დამთავრდება

— ბატონო გურამ, რა სიტუაციაა დღეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში?

— სანამ ამაზე ვისაუბრებდეთ, მინდა რამოდენიმე სიტყვა ვთქვა ფულის რეფორმასთან დაკავშირებით. ყველასათვის ნათელია, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა დღეს და მის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია საინტერესოა საზოგადოებისათვის. გუშინ მე გახლდით ფულის გადაცვლასთან დაკავშირებით შექმნილ შტაბის სხდომაზე. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ საქმე კარგად მიდის. დავალებები განაწილებულია და სრულდება. მათში ყველაზე მნიშვნელოვანია ზრი ოქტომბრის შემდეგ ლარის, როგორც ერთადერთი საგადასამხდელო საშუალების უზრუნველყოფა. შტაბის სხდომაზე ითქვა, რომ პოლიცია, საგადასახადო ინსპექცია, კონტროლის პალატა და სხვა საფინანსო სამსახურები მზად არიან წინააღმდეგობა გაუწიონ ეროვნული ვალუტის გარდა სხვა გარე ქვეყნის ვალუტაზე სავაჭრო ოპერაციების განხორციელების ნებისმიერი კონკრეტული შემთხვევის ფაქტს. დამზადებულია ოქმები, მზად არის კომპიუტერული სისტემა დარღვევების აღრიცხვისათვის. ეს საჭიროა იმისთვის, რომ კანონის დამრღვევს გარკვეული სასჯელი დაედოს. პირველ შემთხვევაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ხასიათის სასჯელი, ხოლო განმეორების შემთხვევაში დამრღვევს ორი წლით პატიმრობა ემუქრება.

— ბ-ნო გურამ, ეს დამცავი მექანიზმი ჰქონდა თუ არა კუპონს?

— არ ჰქონდა და საჭირო იყო. მე მინდა გითხრათ, რომ საქართველოს ყველაფერი ექნება მომავალში. მაგრამ ჩნდება მხოლოდ ერთი შეკითხვა — როდის? ხელისუფლებას ორი წელიწადი დასჭირდა, რათა გაეთვითცნობიერებინა, რომ ეროვნული ვალუტის ერთადერთობის დაუცველობის გარეშე ეკონომიკა წინ ვერ წავა. ჩვენ ყველაფერს რატომღაც გვიან ვიგებთ და შესაბამისად, გვიანაც ვაკეთებთ.

რაც შეეხება ფულის გადაცვლის მექანიზმს, ეს პროცესი ნორმალურად მიდის. თუმცა, დღესვე საჭიროა ფიქრი საგადასახადო სისტემის მოსაგვარებლად. ისიც მინდა დავუმატო, რომ თუ მოსახლეობა არ დასაქმდა, მათ კეთილდღეობას ვერაფერი უშველის.

— დავუბრუნდეთ საარჩევნო კომისიის საქმიანობას...

— ცნობილია, რომ საარჩევნო კამპანია ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში ტარდება. ამიტომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დიდი ჯაფა ადგას. აქაც კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, — ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობს და იმედია, არჩევნებიც ნორმალურად ჩატარდება.

დიაბეტით დაავადებულებს ინსულინის სანაცვლოდ ხელმოწერებს სთხოვენ

— ბ-ნო გურამ, საინფორმაციო საშუალებებმა საკმაოდ ფართოდ გააშუქეს მოქალაქეთა კავშირის მიერ ჰუმანიტარული დახმარების დარიგებასთან დაკავშირებული ინციდენტი... საინტერესოა თქვენი, როგორც საარჩევნო კომისიაში რწმუნებულის მოსაზრება.

— სამწუხაროა, რომ საარჩევნო სუბიექტებს (პარტიებს, ბლოკებს), ჯერ-ჯერობით ვერ გაუგიათ ერთი რამ: საქართველოს მომავალი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ წესიერად და პატიოსნად ჩატარდება არჩევნები საქართველოში. ეს მნიშვნელოვანია არა იმდენად პარლამენტის ფორმირებისათვის, რამდენადაც საზოგადოებაში კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრებისათვის. მოქალაქე თვითონაც უნდა აღიარებდეს კანონის უზენაესობას და პოლიტიკური ძალებისგანაც ამასვე მოითხოვდეს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია არჩევნების დროს და ამ ფონზე ჩვენი ხელისუფლებისა და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი პარტიისაგან. სრულიად თავხედური და აგდებული დამოკიდებულება არა მარტო კანონისადმი, არამედ ზნეობისადმი, საფრთხეს უქმნის არა მარტო არჩევნებს, არამედ საქართველოს მომავალს. ამომრჩევლების შაქრით მოზიდვა არასასიამოვნო და უკანონო ფაქტია, მაგრამ როდესაც დიაბეტით დაავადებულს ეშუქრები ინსულინის არმიცემით, ეს ფაქტი არანაირი ზნეობის ნორმებში აღარ ჯდება. აქედან მხოლოდ ერთი გამოსავალია — ამომრჩევლები თვითონ გაუსწორდნენ ამგვარად მომქმედ საარჩევნო სუბიექტებს. აქ ვგულისხმობ ამომრჩევლების პოზიციას ხმის მიცემის დროს...

— მოქალაქეთა კავშირი მოიხსნება საარჩევნო კამპანიიდან?

— რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხნას, მე პირადად მივესალმებოდი როგორც მოქ.კავშირის, ისე ყველა კომუნისტური პარტიის საარჩევნო კამპანიიდან მოხსნას. მაგრამ განა დღეს საქართველოში ამისი რეალიზაცია შესაძლებელია? გაბედავს დღეს მოსამართლე თითი დაუქნიოს მოქალაქეთა კავშირს და დასაჯოს იგი სამართლიანად? ან კი მივა საქმე სასამართლომდე? ყველასათვის ნათელია, რომ დარღვევის ფაქტები უამრავია, მაგრამ მათი დაფიქსირება იურიდიულად ძალიან ჭირს. ამ ბოლო დროს ხალხი საკმაოდ დაშინებულია.

არსებობს კიდევ სხვა საშიშროებაც. მოქალაქეთა კავშირს შეუძლია გახდეს დესტაბილიზაციის კერა და ჩაშალოს არჩევნები. ეს არ არის გამორიცხული, თუ გავითვალისწინებთ მოქალაქეთა კავშირის სიჭრელეს და მათ ფინანსურ შესაძლებლობებს.

არავითარი უზნეობა არც მე და არც მოქალაქეთა უმრავლესობას მოქალაქეთა კავშირისგან არ გაგვიკვირდება. ეყოფა კი მოქალაქეთა კავშირს მოქალაქეობრივი დამოკიდებულება კანონის მიმართ და დაემორჩილება მისთვის არასასურველ გადაწყვეტილებებს, როგორც ამას სხვა, თუნდაც ჩვენი, რესპუბლიკური პარტია აკეთებს.

ესაუბრა ლელა ნაკაშიძე

სამხედრო ბაზების განლაგება საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზის განცხადება

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ე.შევარდნაძემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთის ფედერაციისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 25 წლით სამხედრო ბაზების მიცემისა და ახალი სამხედრო დასახლებების მშენებლობის შესახებ. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზი აღნიშნავს, რომ ეს ნაბიჯი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონს თავდაცვის შესახებ, რომლის ძალითაც საქართველო აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებს. დარბაზს მიაჩნია, რომ ეს ნაბიჯი მიმართულია საქართველოს საარსებო ინტერესთა წინააღმდეგ, ვინაიდან იგი ქმნის გლობალურ შეიარაღებულ კონფლიქტებში საქართველოს ჩაბმის უშუალო საფრთხეს და მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ შეიარაღებული მოქმედებისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების საფრთხეს.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზი შეახსენებს დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობას და მომავალი პარლამენტის შემადგენლობას, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის ხმის მიცემა საქართველოს პირდაპირი ღალატი იქნება

საქართველოს გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტიის დარბაზი
23.09.1995 წ.

დარბაზმა დაასრულა „რესპუბლიკელთა“ საარჩევნო სიის დამტკიცება

1995 წლის 23 სექტემბერს ჩატარდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ნოდარ ნათაძე.

ბ-ნმა ვახტანგ ხმალაძემ გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლერმონტოვის ქუჩა №8-ში მოქალაქეთა კავშირის სახელით რიგდებოდა შაქარი, რაზეც შედგა ოქმი, რომელიც წარედგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სადაც კენჭისყრაზე დადგა საკითხი მოქალაქეთა კავშირის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

ბ-ნმა ფრიდონ საყვარელიძემ ისაუბრა ბ-ნი აკაკი ბაქრაძის კანდიდატურის მხარდამჭერი ხელმოწერების შეგროვების შესახებ.

ბ-ნმა რომან გოცირიძემ დარბაზს გააცნო „რესპუბლიკელთა“ საარჩევნო სიის დაუმტკიცებელი ნაწილი და ისაუბრა იმ პრინციპების შესახებ, რომლის მიხედვითაც შედგა აღნიშნული სია.

ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ დარბაზს გააცნო რუსეთის ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე დაკანონების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებული განცხადების ტექსტი (ტექსტი გამოქვეყნდა პრესაში).

ბ-ნმა ვ.ჭინჭარაულმა გააკეთა ინფორმაცია [illegible]ში რუსეთის სასაზღვრო ნაწილის შეყვანის შესახებ.

დარბაზის შემდეგი სხდომა გაიმართება შაბათს, 30 სექტემბერს.

ბრპ-ს პრესსამსახური

პრეს-კონფერენცია

ბოიკოტი უკანონო არჩევნებს! — აცხადებს „მრგვალი მაგიდის“ სპიკერი

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ შემადგენლობაში შემავალმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა 22 სექტემბერს პრესკონფერენცია გამართეს.

„ჩვენი შეხვედრა თქვენთან უკანონო ხელისუფლების მიერ ახალი უკანონო არჩევნების დანიშვნამ განაპირობა-განაცხადა „მრგვალი მაგიდის“ სპიკერმა, თენგიზ კიკაჩეიშვილმა—სანამ საქართველოში არ აღსდგება კანონიერება, არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ ბლოკში შემავალი არცერთი ორგანიზაცია. ჩვენზე ათას ჭორს ავრცელებენ, მხედრიონთან ალიანსიც კი დაგვაბრალეს“...

მრგვალმაგიდელები თვლიან, რომ „პარლამენტმა ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობას კი ისინი მკვეთრად უარყოფითად აფასებენ და უზნეობად მიიჩნევენ.

თენგიზ კიკაჩეიშვილი: შევარდნაძე არასუფთა ძალებით მოვიდა ხელისუფლებაში. მას პოლიტიკური კიბო აქვს. პოლიტიკანობას შეეწირა საქართველოს თავისუფლება. ჩვენ კი ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად ზნეობა მიგვაჩნია. მზად ვართ ყველა დარტყმას გავუძლოთ. ხალხი მაშინ მიხვდება ყოველივეს, როცა შევარდნაძე არასოდეს არაფერს არ გააკეთებს ქართველი ხალხის სასიკეთოდ. კერძოდ, მას არ შეუძლია გადაწყვიტოს აფხაზეთის საკითხი, რადგან რუსეთის იმპერიას კავკასიაში ჭირდება კონფლიქტის ჩაუმქრალი კერა, ხოლო შევარდნაძე რუსეთის ნების წინააღმდეგ არასდროს არ წავა“...

პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საარჩევნო კანონი, ისევე როგორც კონსტიტუცია—უკანონოა. კონსტიტუციაში არ არის წარმოდგენილი საქართველოს ადმინისტრაციულ—ტერიტორიული მოწყობა. თანაც, იგი მიღებულია უკანონო ხელისუფლების მიერ და ამდენად ბათილად ითვლება. იქვე გამოითქვა პროგნოზი მომავალ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ. ითქვა, რომ საქართველოს მოქალაქეთა 30% ქვეყნის ფარგლებს გარეთაა, 20% ბოიკოტს გამოცხადებს. დაახლოებით 5% ავადმყოფობის გამო ვერ მივა საარჩევნო ურნებთან, რჩება —— 45%, მაშინ, როცა მოსახლეობის ნახევარზე მეტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს არჩევნები იქნება მორიგი ფალსიფიკაცია და იგი ქართველ ხალხს მიუტრიალდება ისე, როგორც მხედრიონს მიუბრუნდა მის მიერ ჩადენილი სისაძაგლეები.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა სამეფო ლიგის ლიდერი, ქ-ნი ია მუხრანელი:“ბოიკოტი ჩვენი თვითმიზანი არ არის. ნუ მიხვალთ საარჩევნო ურნებთან. ეს უბედურებას მოიტანს, ვინც ახლა ამას ვერ ხვდებით, მაშინღა გამოფხიზლდებით, როცა პირადად თქვენ შეგეხებათ“.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როდის მიიღებს „მრგვალი მაგიდა“ არჩევნებში მონაწილეობას, ბატონმა კიკაჩეიშვილმა განაცხადა: მაშინ, როცა სათანადო პოლიტიკური სარბიელი გაჩნდება ჩვენი მოღვაწეობისთვის, თუნდაც ამას რამდენიმე ათეული წელი დასჭირდეს. ჩვენ დღევანდელ ყოფას ჩვენს დროდ არ მივიჩნევთ.

ნინო ზამთარაძე

ჯერ გავამთლიანოთ საქართველო და მერე ჩავატაროთ არჩევნები

27 სექტემბერს შესრულდა 2 წელი სოხუმის დაცემიდან. აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტის მიერ გამართული პრეს-კონფერენციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპული ბიჭების ნათელ ხსოვნას.

აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტის თავმჯდომარემ **ზურაბ სამუშიამ** განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია კანონიერი იურიდიული ერთეულია. მის ძირითად მიზანს შეადგენს საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რისთვისაც ის იყენებს სახალხო დიპლომატიის პოლიტიკას. აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტი ქმნის სახალხო ლაშქარს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საწესდებო მიზნების მისაღწევად აწესებს სახალხო აქციებს, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ...

როცა საქართველოს ეროვნული ჯარი სოხუმის დაცემის დროს პარალიზებული იყო, აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტმა დაიკავა კოდორის ხეობა და საქართველოს შეუნარჩუნა ერთადერთი პლაცდარმი.

პრეს-კონფერენციაზე გამოითქვა აზრი, რომ აფხაზეთის დაბრუნება მშვიდობიანი გზით არ შეიძლება. იმ გზით უნდა დავბრუნდეთ, რა გზითაც გამოვედით.

ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება დღეს საქართველოში 25 წლით რუსეთის ჯარების შემოყვანა. ბატონმა შევარდნაძემ თავის სიტყვას უღალატა, როცა თქვა: მე ხელს არ მოვაწერ ბაზების დაკანონებას, სანამ აფხაზეთს რუსები არ დაგვიბრუნებენო. მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა უკვე ბაზების დაკანონებას. ეს კი ღალატის ტოლფასია.

აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტს რეალურად მიაჩნია დღეისათვის აფხაზეთის დაბრუნება. ამ კომიტეტში 849 კაცია გაერთიანებული. ამის გარდა, ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირი მზად არის წავიდეს აფხაზეთის დასაბრუნებლად.

თავად ბატონი სამუშია, საქართველოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში არ ღებულობს მონაწილეობას, ჯერ გავამთლიანოთ საქართველო და მერე ჩავატაროთ არჩევნები, — აღნიშნა მან.

ამ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან შექმნილია უგზო-უკვლოდ დაკარგულთა კომიტეტი, რომელსაც დურმიშხან ძაძამიძე ხელმძღვანელობს. მის ძირითად ამოცანას შეადგენს აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების დახმარება. უპატრონო მოხუცებისა და უდედმამო ბავშვებისათვის დახმარება აუცილებელია.

როგორც ბატონმა დურმიშხანმა აღნიშნა, ის თავად დადის შეწირულებათა შესაგროვებლად მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. შექმნილია ფონდი, რომლისგანაც ომში უგზო-უკვლოდ დაღუპულთა ოჯახები, ბავშვები და მოხუცები მიიღებენ ყოველთვიურ დახმარებას, სახელმწიფო ფასებში იყიდიან პურს, შაქარს, კარაქს. ამ საქმეში განსაკუთრებით დაგვეხმარნენ გამგებლები — განაცხადა ბატონმა დურმიშხანმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, ვინ უნდა აგოს პასუხი აფხაზეთის დაკარგვაზე, ზურაბ სამუშიამ უპასუხა: აფხაზეთის დაკარგვაში სახელმწიფოს მთავარსარდლიდან ზემდეგამდე ყველამ უნდა აგოს პასუხი.

30 სექტემბერს ქაშვეთის ეკლესიაში იქნება პარაკლისი აფხაზეთის ომში დაღუპული ბიჭებისათვის და ეს დღე გამოცხადდება მათი ხსოვნის დღედ.

ნინო კახაძე

ბრაკონიერები ტერორისტებად მონათლეს?

გაზეთ „ჯორჯიენ თაიმსის“-თვის სანდო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ 29 აგვისტოს, ტერორისტული აქტის მეორე დღესვე უშიშროების სამსახურის მაშინდელი შეფის ძალისხმევით დაკავებული 10 პირიდან 2 უკვე გათავისუფლებულია, ხოლო დანარჩენები ალბათ უახლოეს ხანში იქნებიან გაშვებული. ცნობილი გახდა ისიც, რომ დაკავებული პირები იყვნენ არა ტერორისტები, არამედ მონადირე-ბრაკონიერები, რომლებსაც ასაფეთქებელი ნივთიერებანი თევზის საჭერად ჰქონდათ შეძენილი.

“ლაყბობა პოლიტიკაზე უსაფუძვლოა, თუ მას არა აქვს დასაყრდენი ეკონომიკაში“...

28 სექტემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა მოძრაობა „ეკონომიკური აღორძინების“ ყრილობა. ყრილობა გახსნა მოძრაობა „ეკონომიკური აღორძინების“ სპიკერმა, [illegible]ნმა დავით ზოდელავამ. [illegible] გამოსვლაში შეეხო როგორც [illegible] საქართველოს ეკონომიკის საკით[illegible], ასევე საპარლამენტო არჩევნებს. მათი აზრით, ლაყბობა პოლიტიკაზე უსაფუძვლოა, თუ მას არა აქვს დასაყრდენი ეკონომიკაში.

ეკონომიკური პრობლემების შესახებ „ეკონომიკურ აღორძინებას“ საკუთარი პროგრამა გააჩნია. „საქართველოში ბიზნესი არ იქნება, სანამ მეწარმე არ გათავისუფლდება. ეკონომიკა ქმნის ყველაფერს“, — აღნიშნა ბატონმა დავით ზოდელავამ.

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, ისინი იბრძოლებენ 5%-იანი ბარიერის გადასალახად. არცერთ პრეზიდენტობის კანდიდატთან არ იმყოფებიან სერიოზულ კონფრონტაციაში, რადგან არ იციან არცერთი კანდიდატის რეალური პროგრამა საქართველოში არსებული ორი ძირითადი საკითხის — ტერიტორიული მთლიანობის და ნავთობსადენის გავლის საკითხებთან. ამ პრობლემების გარანტად მათ არცერთი პრეტენდენტი არ ესახებათ. თითოეულ კანდიდატთან მათ აქვთ კონკრეტული შეკითხვები. და მხოლოდ ამის შემდეგ გაარკვევენ სასურველი პრეტენდენტის ვინაობას.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ არსებული კანონი პრივატიზაციის შესახებ რეაქციულია. ეს დებულება დააფიქსირა ყრილობაზე გამოსულმა ყველა გამომსვლელმა. ქონების მართვის სამინისტრო მხოლოდ რეალიზაციას აკეთებს. წითელი დირექტორების კორპუსმა რაც წასაღები იყო, უკვე წაიღო. ასევე ფიქტიურია მიწების პრივატიზაცია.

ეკონომიკური აღორძინების უმთავრესი ფაქტორი საქართველოს პოტენციალის სწორ კალაპოტში ჩაყენება იქნება. უნდა შეიქმნას პირობები ჩვენი ემიგრანტების ცოდნისა და კაპიტალის გამოყენებისათვის, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ყველაფერს მოევლება, თუ ცივილიზებულ ეკონომიკურ სისტემას ჩამოვაყალიბებთ. მხოლოდ ამით შეიძლება მასობრივი კორუფციის აღმოფხვრა.

დღევანდელი მინისტრის მდგომარეობა ბატონმა დავით ზოდელავამ ასე შეაფასა: მშიერი კაცის გვერდზე მოსაპარს ვაჩერებთ და შემდეგ ფრთიან ანგელოზობას ვთხოვთ.

ნინო ზამთარაძე

აქა მშვიდობა...

განახლებულ მთავრობის სასახლეში საქართველოს პარლამენტმაც განაახლა მუშაობა. გთავაზობთ პირველ შთაბეჭდილებებს „ნოვოსელიეს“ შემდეგ.

ფართოდ გაშლილი და მოხატული...

საქართველოს პარლამენტმა საშემოდგომო სესიები განახლებულ მთავრობის სასახლეში დაიწყო. დეპუტატთა უმრავლესობა თუ ამ შენობაში პირველად იყო და ინტერესით აკვირდებოდა ინტერიერს, პარლამენტის ზოგიერთი წევრი გულის ფანცქალით ელოდებოდა „შეხვედრას წარსულთან“ და სიყრმის გახსენებას.

სხდომათა დარბაზმა დამსწრეთა ესთეტიური მხარე ნამდვილად დააკმაყოფილა. დეპუტატებს განსაკუთრებით ახალი მაგიდები და მოძრავი სავარძლები მოეწონათ. შავფეხებიანი შინდისფერი სავარძელი გორავს და ტრიალებს დეპუტატისათვის სასურველი ნებისმიერი მიმართულებით.

ძალიან ეფექტურად და პომპეზურად გამოიყურება პრეზიდიუმი. დარბაზში ფერები ძირითადად თეთრი, შავი და შინდისფერია. თუ არ ჩავთვლით ყავისფერი ხისგან დამზადებულ პრეზიდიუმს და კათედრას, რომელიც დარბაზიდან რამდენიმე საფეხურითაა გამოყოფილი. პრეზიდენტის ადგილი, რომლის უკან საქართველოს ეროვნული დროშა ფრიალებს, ისე მადის აღმძვრელად გამოიყურება, მარტო სკამის „გულობიზა“ მოუნდება კაცს კენჭის ყრა.

პრეზიდიუმი დამპროექტებლებს მე მგონი ზომაზე მაღალი გამოუვიდათ. ეს აზრი მაშინ გამიჩნდა, როდესაც ერთ-ერთი საკმაოდ ტანმაღალი დეპუტატი ედუარდ შევარდნაძისათვის განკუთვნილი ბორჯომით ცდილობდა ყელის გასველებას (ეს „იმელიდან“ გამოყოლილი ჩვევა გახლავთ) და ფეხის წვერებზე შემდგარი კარგა ხანს ცოდვილობდა, სანამ ბოთლს და ჭიქას მისწვდებოდა.

დეპუტატები დიდხანს „აჭაშნიკებდნენ“ ახალ სამუშაო ადგილს. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფრით კმაყოფილები იყვნენ. მიკროფონები, რომლებიც დარბაზშია დამონტაჟებული, ძალიან ცუდად მუშაობენ და პარლამენტის წევრები არ შეურიგდნენ „საინფორმაციო ღრუს დახშობას“, მყისვე გააპროტესტეს. ამბობენ, სესია მუშაობას რომ განაახლებს, ტექნიკური მხარე უკვე მოწესრიგებული იქნებაო. დაველოდოთ — აღდგომა და ხვალეო.

ჩვენ ზემოთა ვართ, თქვენ ქვემოთ...

მთავრობის სასახლე, რომელშიც კომუნისტების დროს პარტიული ფრილობები და პლენუმები იმართებოდა, ნამდვილად არ იყო გათვლილი ჟურნალისტებისათვის. ან კი რა საჭირო იყო პრესის და ტელევიზიის იქ ყოფნა. სავარძელში მოკალათებულ დეპუტატებს ტკბილად რომ ეძინათ, ისედაც ყველამ კარგად იცოდა. პრეზიდენტყოფილის დროსაც დიდად არ სწყალობდნენ მეოთხე ხელისუფლებას. კარის ტელევიზია და რადიო იქ იყო, ჰოდა ენაგრძელი, ტლიკინა ჟურნალისტები ვის რა ჯანდაბად უნდოდა. ცოდვა გამხელილი ჯობია და არც დღევანდელ ხელისუფლებას მოუკლავს თავი ჟურნალისტებისათვის სამუშაო პირობების შესაქმნელად. ქანდარაზე წამოსკუპებული პრესის და ტელევიზიის თანამშრომლები მხოლოდ ვარაუდით ხვდებოდნენ, რას ლაპარაკობდა სპიკერი ან სახელმწიფოს მეთაური. ამიტომ თუ ცოტა ხანში ხმის გამაძლიერებლები არ დამონტაჟდება და ჟურნალისტების ყურამდე ვერ მოაღწევს სპიკერატის და დეპუტატების „ხმა ტკბილით“, მაშინ იქნებ ერთი „სურდოპერევოდჩიკი“ იშოვნონ და პრეზიდიუმში სტუმრებისთვის განკუთვნილ ოვალურ (ქუთაისის) მაგიდასთან დასვან. მეოთხე ხელისუფლება ნიჭიერი ხალხითაა დაკომპლექტებული და იმედია, მუნჯის ენას მალე ისწავლიან.

მოდი, ვნახოთ ბუფეტი...

მთავრობის სასახლეში პირველად მოვხვდი და რა გული გამიძლებდა, ბუნკერში, ანუ ბუფეტში არ ჩავსულიყავი. უნდა გითხრათ, „მილის“ ბუფეტი ბევრიც ეჭვობდა დიზაინით, მაგრამ — ამ მეტს არა უშავდა რა. საჭმელებიდან კატლეტი და ხაჭაპური იყო, ხოლო სასმელებიდან ჩაი, ყავა, კოკა-კოლა, ბორჯომი და თქვენ წარმოიდგინეთ, კონიაკიც. შამპანიური, ანუ როგორც ჩვენი პრემიერ-მინისტრი მოფერებით ეძახის, „შამპანსკიც“ ბლომად იყო. დეპუტატებს თამამად შეუძლიათ რაც გაუხარდებათ, იმით ისიამოვნონ.

ეტყობა, „ნოვოსელიეს“ გადახდა მოისურვეს და გვარს არ დავასახელებ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე დილის საათებში თავის თანაპარტიულ თანამეინახესთან ერთად არხეინად მიირთმევდა შამპანიურს. ალბათ დარწმუნებული იყო, ამ საქციელს, გვარიდან გამომდინარე, ყველა არისტოკრატობაში ჩამოართმევდა.

მოკლედ, დეპუტატები განახლებულ შენობაში ადაპტაციის პერიოდს გადიან. იმედია, გაუცხოების გრძნობა მალე გაუვლით და მუშაობას მთელი ძალებით შეუდგებიან. სესია თავის მუშაობას 3 ოქტომბერს განაგრძობს.

ლელა ნაკაშიძე

თეატრალური გილდია ლურჯების თანხლებით

ელდარ შენგელაიას ბოლო ფილმი „ექსპრეს-ინფორმაცია“ ვისაც უნახავს, ყველას კარგად ემახსოვრება ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სატირული ხაზი, რომელიც მთელ ფილმს გასდევს თავიდან ბოლომდე. ესაა ლურჯები... ანუ ჩვენი მწვანეები (რომლებსაც ფილმში დაბნეული მდივანი ქალი რატომღაც „ლურჯებს“ უწოდებს). რეჟისორისათვის ცისფერი დროშითა და ხელში ლეკვებით მოსიარულე „ლურჯები“ არის სწორხაზოვნების, პოლიტიკური ინფანტილიზმის, არაპროფესიონალიზმის და შეზღუდულობის სიმბოლო.

მაგრამ, როგორც დიალექტიკის პრინციპებზე აღზრდილ მკითხველს მოეხსენება, ყველაფერი ცვალებადია, მათ შორის ადამიანთა შეხედულებები და სიმპატიები. ალბათ ამიტომაც მოხდა „ლურჯებისა“ და „ანტილურჯების“ გაერთიანება. ცუდი ამაში არაფერია. ვისაც ვისთან სურს, იმასთან გაერთიანდეს, მაგრამ რას გვერჩიან ჩვენ, საქართველოს რიგით მოქალაქეებს, ნუთუ ქვეყნის მართვა (ანუ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობა) ისევ „ლურჯების“ დონეზე უნდა მოხდეს?—..

მოკლედ, გამოქვეყნდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დეპუტატობის კანდიდატთა პროპორციული სიის პირველი ხუთეული, რომელიც ასე გამოიყურება:

1. ზურაბ ჟვანია — „ლურჯი“
2. ელდარ შენგელაია — „ანტილურჯი“
3. ლანა ღოღობერიძე — „ანტილურჯის კოლეგა“
4. მერაბ ბერძენიშვილი — დიდი ქართველი მოქანდაკე პოლიტიკოსობის მცირე შანსებით
5. რეზო ჩხეიძე — „რაიკომის მდივანი“

სიის დანარჩენ ნომრებსაც მალე შევიტყობთ. ნეტავ სად იქნება სიაში „ანტილურჯი“ პოეტი რევაზ ამაშუკელი და „თავგალურჯებული“ ლევან მამალაძე?

ვახტანგ ბარამიძე

ლარი წინასაარჩევნო აგიტაციისა და სამთავრობო-საბანკო სფეროში მომავალი გადაადგილებების გამოვლენის საშუალება გახდა!

ვამართლდა ის ეჭვი, რომ ლარის შემოღება ცალკეული მაღალი თანამდებობის პირისა და მათ უკან მდგომი პოლიტიკური ძალების მიერ საარჩევნო საშუალებად იქნებოდა გამოყენებული. არჩევნების კანონის თანახმად თუკი ცალკეულ კანდიდატს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოება გარდა სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილი დროისა, ლართან დაკავშირებული პირები ირიბად ფაქტიურად საარჩევნო აგიტაციას ეწევიან.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, ლარის თემაზე აქტიური გამომსვლელები არა მარტო საპარლამენტო და სამთავრობო სავარძლებს უმიზნებენ, არამედ მიმდინარეობს ფარული ჰიდილი ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტი პოსტისათვისაც. ახალი კონსტიტუციისა და ეროვნული ბანკის შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ დასანიშნი იქნება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა, რომელთა შემადგენლობიდან ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის წარდგენითა და პარლამენტზე დამტკიცებით ხდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. როგორც ირკვევა, ამ პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ ამჟამინდელი მთავრობის ვიცეპრემიერი თემურ ბასილია და ეკონომიკის მინისტრი ვლადიმერ პაპავა. შევარდნაძის ფრთის ფავორიტად მიჩნეულია გაერთიანებული ქართული ბანკის ერთ-ერთი თავმჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად განიხილება ახალი ქართული ბანკის პრეზიდენტი ვლადიმერ პატეიშვილი. წელიწადნახევრის წინ ყველა სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელობა განთავისუფლებული იქნა, გარდა ვლადიმერ პატეიშვილისა. ეს გამოწვეული იყო ამ უკანასკნელის არა მარტო მაღალი პროფესიული თვისებების გამო, არამედ იმითაც, რომ იგი სარგებლობს ნდობით შევარდნაძის მხრიდანაც. რაც შეეხება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ნოდარ ჯავახიშვილს, როგორც ექსპერტები და ხელისუფლების კულისებში აქტიურად „მოთანამშრომლე“ პირები იუწყებიან, მიუხედავად მისი მცდელობისა, რაც გამოიხატება ერთის მხრივ შევარდნაძისადმი დათმობების, მეორე მხრივ პირად ურთიერთობებში „მის კაცად“ თავის წარდგენის მცდელობისა, იგი მაინც ვერ გახდა „შევარდნაძის გუნდის“ წევრი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მას არა აქვს გამოკვეთილი პოლიტიკური დასაყრდენი, ხოლო შევარდნაძის მომხრეთა პოლიტიკურ ბანაკში არ სარგებლობს საკმარისი სიმპატიით.

ეროვნული ბანკის მომავალ პრეზიდენტად გავლენიან წრეებში ფიგურირებენ ისეთი გვარებიც, რომლებიც დღეს აქტიურად არ ჩანან არც პოლიტიკურ და არც საფინანსო საბანკო სარბიელზე. მათ შორის მოიხსენიება კახა პოპიაშვილი (ყოფილი ფინანსთა მინისტრი, საქართველოს საელჩოს თანამშრომელი). შევარდნაძის ფონდთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ერთ-ერთი ბანკირი, აგრეთვე ყოფილი ეკონომიკის მინისტრი მიხეილ ჯიბუტი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის ზოგიერთმა კანდიდატმა უკვე დაიწყო აქტიური დოზირება იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მომავალ პარლამენტში ექნებათ გარკვეული წონა.

ასე რომ, ლარის შემოღება და მის ირგვლივ წარმართული დებატები მომავალი ხელისუფლების ახალი სახის გამოვლენის ერთ-ერთი საშუალება ხდება.

ჯ. ბარონი

სუკ-ი

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა



(გაგრძელება. დას. №26, 27, 28, 29, 30, 31)

სტაშინსკიმ დაარღვია ბრძანება და გაუმხილა ინგეს, რომ იგი არის საბჭოთა მოქალაქე და სუკ-ის აგენტი. ინგე შეაძრწუნა ამ ცნობამ. მაგრამ მათი სიყვარულის გულისათვის დათანხმდა მოეჩვენებია თავი, თითქოს სიმპათიით იყო საბჭოთა კავშირის მიმართ და გამოხატა მზადყოფნა სუკ-თან თანამშრომლობისა. ამგვარად, შეყვარებულებმა მოაწყვეს მცირე შეთქმულება სუკ-ის წინააღმდეგ. მალე ქორწილის შემდეგ, 1960 წლის აპრილში ეს შეთქმულება გამრვლინდა აშკარა მტრობაში.

სტაშინსკის არალოიალობა სრულიად გამოვლინდა მას შემდეგ, რაც ინგე დაორსულდა იმ ზაფხულს. შეუღლებამ კიდევ უფრო გააძლიერა მათი სიყვარული. მათ ძლიერ უნდოდა ჰყოლოდათ ბავშვი. სუკ-ი კი ბავშვს თვლიდა ზედმეტ ტვირთად, და მოითხოვდა ინგესგან ხელოვნურად მოეცილებინა იგი. ამაზე აღშფოთებულმა ინგემ უარი განაცხადა. მაშინ სუკ-მა შესთავაზა, რომ მშობლებს ბავშვი მიეცათ აღსაზრდელად სახელმწიფოსათვის. ახლა უკვე სტაშინსკიმ უამბო ინგეს მის მიერ შესრულებული ორი მკვლელობის შესახებ. უთხრა, აგრეთვე, რომ ის აპირებს გამოისყიდოს თავისი დანაშაული დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის დაზვერვებთან დაკავშირებით, როგორც კი მათ გაგზავნიან დასავლეთში.

მაგრამ 1960 წლის ბოლოს სუკ-ის გენერალმა ვლადიმერ იაკობის-ძემ აცნობა მათ, რომ რამდენადაც პოლიტიკური სიტუაცია „ძირეულად შეიცვალა", ისინი ვერ შესძლებენ კიდევ რამდენიმე ხანს დაჰყონ დასავლეთში. მაშინ სტაშინსკის შესძლო დაერწმუნებია სუკ-ი, ნება დაერთოთ ინგესათვის მოენახულებია მისი მშობლები ბერლინში. მათ წინასწარ მოიფიქრეს შიფრი თავიანთ წერილებში სარგებლობისათვის. შემდეგში სტაშინსკიმ აცნობა ინგეს დარჩენილიყო აღმოსავლეთ გერმანიაში მანამ, სანამ არ იპოვიდა მასთან შეერთების საშუალებას. მაგრამ ვაჟიშვილის დაბადების შემდეგაც კი, 1961 წლის 31 მარტს, სუკ-მა უარყო ყველა მისი თხოვნა ბერლინში გამგზავრების შესახებ. 8 აგვისტოს დარეკა ინგემ და აცნობა საშინელი ამბავი. მათი შვილი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

10 აგვისტოს სუკ-ის ოფიცრის იური ალექსანდროვის დაცვის ქვეშ სტაშინსკი გაგზავნეს სამხედრო თვითმფრინავით აღმოსავლეთ გერმანიაში შვილის დაკრძალვაზე.

აღმოსავლეთ ბერლინში ბოგდანი და ინგე ინყოფებოდნენ სუკ-ის ძლიერი დაცვის ქვეშ. ინგეს მშობლების სახლის ირგვლივ დღისით და ღამით პატრულირებდნენ მანქანები, მეთვალყურენი დაყენებოდნენ ჭიშაში, სადაც არ უნდა წასულიყვნენ. 12 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში — ერთი დღით ადრე მანამდე, ვიდრე აღიმართებოდა კედელი — ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათ ძალით დაბრუნებენ უკან მოსკოვში დაკრძალვისთანავე და რომ ერთადერთი ნაბიჯი, რომელსაც შეეძლო ეხსნა ისინი, იქნება გაქცევა შვილის დასაფლავებამდე. ამგვარად, იმავე დღეს ისინი გამოძვრნენ სახლიდან, და მიწაზე წახრილები, იქ, სადაც სუკ-ის მეძებრები ვერ შესძლებდნენ მათ დანახვას ლობის წყალობით, ოთხით გამოვიდნენ გვერდით ჭიშაზე. ბილიკებით და ხვიეებით, რომლებიც ინგემ ბავშვობიდანვე იცოდა, მათ მიირბინეს პირველივე ტაქსამდე, რომელმაც წაიყვანა ისინი დასავლეთ ბერლინზე გამავალ მიწისზედა რკინიგზამდე. ტემპელგოფის პოლიციის უბანში სტაშინსკიმ თავი წარუდგინა და ითხოვა ამერიკელებთან შეხვედრა.

იგი არ სთხოვდა თავის გამომძიებლებს არც შეწყნარებას, არც რაიმე სამსახურს, პირიქით, ისწრაფოდა გამოესყიდა დანაშაული აღიარებითა და სასჯელის მოხდით. პირველ სექტემბერს ამერიკელებმა იგი გადასცეს დასავლეთგერმანელ ხელისუფალთ, რომლებმაც განაცხადეს, რომ სტაშინსკი დაპატიმრებულია „მოღალატური საქმიანობისათვის". მკვლელობების შესახებ ყოველგვარი მოხსენიების გარეშე.

მხოლოდ 1962 წლის ოქტომბერში, როცა კარლსრუეში დაიწყო ღია პროცესი სტაშინსკის, დაინახა მთელმა მსოფლიომ, რაც გააკეთეს თვითონ მან, მე-13 განყოფილებამ, სუკ-მა და საბჭოთა კავშირის მმართველებმა. თავიდან როგორც ამერიკელი, ისე გერმანელი ხელისუფალნი სტაშინსკის სკეპტიკურად მოეკიდნენ. პროცესის უდიდესი ნაწილის განმავლობაში ოფიციალურმა და პედანტურმა გერმანელმა მოსამართლეებმა იგი ისეთ მდგომარეობაში ჩაიყენეს, როცა მას, ბრალდებულს, უნდა დემონსტრაციებინა თავისი დანაშაული. მაგრამ გერმანელმა პოლიციამ გამოიძია მისი ისტორია, გამოსწორება უთვალავი დოკუმენტი და რამდენიმე პიროვნ კი, რომლებიც ადასტურებდნენ მის ჩვენებებს. ბენდერას საცხოვრებელი სახლის შესასვლელი კარის საკეტში ნაი იპოვეს გატეხილი გასაღების ნარჩენი. სტაშინსკის ძალიან ნათლად ახსოვდა ქალი, რომელიც მაშინ შენიშნა, როცა მკვლელობის ადგილს სტოვებდა. კიდევ, მას ახსოვდა, რომ როცა ჰკლავდა, მახლობლად ხედავდა პოლიციის გაჩერებულ მანქანას. პოლიციამ გამოძებნა ქალი და დარწმუნდა, რომ მანქანა მართლაც იყო აღნიშნულ ადგილას. ოტელებისა და მოგზაურობათა ბიუროების სარეგისტრაციო წიგნებით დადასტურეს, რომ სტაშინსკი იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიაში სწორედ მაშინ, როგორც მან ეს თქვა, და სწორედ იმ სახელებით, რომლებიც დასახელა. მეცნიერებმა დადასტურეს, რომ მოსაკლავი იარაღები, რომლებიც მან აღწერა, სწორედ ისე უნდა მოქმედებდეს, როგორც სტაშინსკიმ ახსნა.

ფსიქიატრებმა სცნეს, რომ სტაშინსკი არის პირდაპირ და გონებრივად უანმრთელი. მოსამართლემ, რომელიც პროცესს თავმჯდომარეობდა, მის შესახებ თქვა: „... არის ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი. კეთილი და მშვიდობისმოყვარე. რომ არა საბჭოთა სისტემა, რომელიც ზუსტად ისევე, როგორც ნაცისტური, პოლიტიკურ მკვლელობებს განიხილავს როგორც სახელმწიფოებრივად აუცილებელს, ის დღეს იქნებოდა, ალბათ, მასწავლებელი სადმე უკრაინაში. მაგრამ ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება მოსამართლეებზე, პრესასა და საზოგადოებაზე მოახდინა თვითონ სტაშინსკიმ თავისი თანმიმდევრული, ჭკვიანური და თავდაჭერილი გამოთქმებით. ამ შვიდდღიანი პროცესის შემდეგ მან უთხრა სასამართლოს და მსოფლიოს:

„მე მინდოდა შემემსუბუქებინა ჩემი სინდისი და მომეყოლა მთელი მსოფლიოსათვის იმ გზის შესახებ, რომლითაც ხორციელდება სნამდვილში „შვიდობიანი თანაარსებობა". მე არ მინდოდა მეტად ყოფილიყავი გამოყენებული მკვლელობების დავალებათა შესასრულებლად. მე მინდოდა, გამეურთხილებია ყველა, ვისაც ელოდება საშიშროება ისევე იყოს ლაკვიდირებული, როგორც რებეტი და ბენდერა, მიიღოს სიფრთხილის ზომები. მე იმედი მაქვს, რომ ჩემი გაქცევა დასავლეთში შეამსუბუქებს ჩემს დანაშაულს იმიტომ, რომ მე ბევრი უბედურება დავიტეხე თავს ჩემი გაქცევით. ჩემი მშობლები და ნათესავების ბედი გადაწყვეტილი იქნება, ან იგი, შეიძლება, უკვე გადაწყვეტილია, როგორც ეს მე ადრე აღვწერე — ეს საშუალოდ დარჩება ჩემთვის მძიმე მორალურ ტვირთად... ჩემი ცოლი და მე ვიცხოვრებთ მუდმივი შიშით, რომ მოვა დღე, როცა აღმოსავლეთი შურს იძიებს ჩვენზე. რაც შეეხება სრულიად სხვა სფეროს, აქ. დასავლეთში ჩვენ მოკლებული ვართ ყოველგვარ საშუალებას არსებობისათვის. მიუხედავად ყველაფრისა, მე გადავწყვიტე დასავლეთის სასარგებლოდ, რადგანაც მჯერა, რომ ეს ნაბიჯი იყო აბსოლუტურად აუცილებელი მთელი მსოფლიოსათვის".

სტაშინსკის დეზერტირობამ, მისმა პროცესმა და ხვალინდელ ჩვენებებმა ძლიერი ტრავმული ეფექტი მოახდინეს როგორც სუკ-ის შიგნით, ისე პარტიის სათავეში მდგომებზე. სულ ცოტა ჩეიდმეტი თანამშრომელი მოხსნეს ან მამოაქვეითეს თანამდებობიდან სუკ-ის ყოფილი მაიორის ანატოლი გოლიცინის მონათხრობის თანახმად. მიუხედავად ყველა საინფორმაციო საშუალებისა და საბჭოთა პროპაგანდისტების გამჭრიახობისა, არანაირად არ შეიძლებოდა გამართლება და ახსნა გამოაშკარაებული მტკიცებებისა კრემლის მიერ ჩაფიქრებულ მოქალაქეთა ცინიკურად მკვლელობებისა შვიდობიან დროს. ამის გარდა, საბჭოთა ხელმძღვანელობას ესმოდა, რომ სტაშინსკის საქმის განმეორებას შეეძლო სერიოზულად შეეშალა ხელი მათი მცდელობებისათვის საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებაში კუბის ცნობილი კრიზისის შემდეგ.

კრემლი ვერ აიძულებდა თავის თავს სრულად აეღო ხელი მკვლელობებისაგან — როგორც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის იარაღისაგან. მე-13 განყოფილებას დაუტოვეს მოკვლის და ნადირობის უფლება მხოლოდ შერჩეულ დეზერტირებზე როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე აღმოსავლეთ ევროპის სატელიტ ქვეყნებიდან. მაგრამ 1962 წლის ბოლოს თუ 1963 წლის დასაწყისში ხელმძღვანელობამ მკვეთრად შეამცირა თავდასხმების პრაქტიკა, და სუკ-ს გამოუცხადა, რომ ამიერიდან მშვიდობიან დროს ადამიანთა ლიკვიდაციას მოახდენდა მხოლოდ განსაკუთრებული პირობების არსებობის შემთხვევაში. იური ნოსენკო იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომლის გაშეღავნების უფლებაც მას არა აქვს, თვლის, რომ სუკ-ი მივიდა დასკვნამდე — არ ანდოს მკვლელობის განხორციელება მომავალში ისეთ საბჭოთა მოქალაქეებს, როგორიც ხოხლოვი და სტაშინსკია, არამედ გადასცეს ეს დავალება დაქირავებულ. უცხოელ დამნაშავეებს ან სხვა ეროვნებების არალეგალურ აგენტებს, რომელთა დაკავშირება მკვლელობებში საბჭოთა კავშირთან არც ისე ადვილი იქნება.

60-იანი წლების შუაგულში დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებმა შენიშნეს ზოგიერთი ცვლილება მე-13 განყოფილების ოპერაციებში, რომლებშიაც ყურადღება გადატანილ იქნა თავდასხმებიდან საბოტაჟზე. მათ, აგრეთვე, განვრიტეს საბოტაჟის შესახებ ახალი, საბჭოური გაგების კონტურები. რასაკვირველია, სუკ-ი ყოველთვის მიისწრაფვოდა შეექმნა მთელმარე აგენტურული ქსელები, რომლებიც შეეძლოთ მოქმედებაში გაეშვათ ომის დროს მეხუთე კოლონის სახით მნიშვნელოვანი თავდაცვითი დანადგარებისა და სამარი ობიექტების წინააღმდეგ.

როცა მე-13 განყოფილებას ეწოდა „B" განყოფილება 1968-1969 წლებში სუკ-ის რეორგანიზაციის შედეგად, მისი ძირითადი პერსონალი შედგებოდა 50—60 თანამშრომლისგან, რომლებსაც შესწავლილი ჰქონდათ ძალადობის სხვადასხვა ფორმა და გაცნობილი იყვნენ მსოფლიოს გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონებს. ამასთან ერთად, „B" განყოფილების თანამშრომლები იმყოფებოდნენ ყველა მსხვილ საბჭოთა საელჩოში საზღვარგარეთ. მათ მოვალეობაში შედიოდა ობიექტის შეფასება საბოტაჟის მოსამზადებლად, გადაბირება და ხელმძღვანელობის გაწევა ადგილობრივი აგენტებისათვის, რომლებიც შეიძლებოდა გამოეყენებინათ როგორც დივერსანტები ან მკვლელები, აგრეთვე, „B" განყოფილების არალეგალური აგენტების მხარდაჭერა. სტაშინსკის დეზერტირობის შემდეგ შემოღებულ მკაცრ საიდუმლო შეზღუდვებთან დაკავშირებით, „B" განყოფილების თანამშრომლები მოსკოვში და საზღვარგარეთ, ცდილობდნენ დაემალათ, თავიანი სუკ-ელი კოლეგებისაგანაც კი მათი მუშაობა ამ განყოფილებაში, საიდუმლოების და სიფრთხილის წყალობით, მე-13 განყოფილება ახერხებდა საიდუმლოდ შეენახა თავისი შემდგომი არსებობა რეკონსტრუირებული ფორმით, მაგრამ 1971 წლის ზაფხულიდან დაწყებული, მთელმა სერიამ ერთი მეორეზე მიყოლებული ამბებისა უჩვენა, რომ ის კიდევ არსებობს და მუშაობს ძალიან დიდი გულმოდგინეთი.

1971 წლის 14 აგვისტოს „პარი-მატჩ"-ში გამოაქვეყნა ინტერვიუ იან სეენიასთან, ჩეხოსლოვაკელ გენერალთან, რომელიც 1968 წელს გაიქცა შეერთებულ შტატებში. „ეროვნული ... ცხადა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის ქვეშ ვარშავის პაქტის ხალხებმა დანერგეს დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დივერსანტების პასიური ქსელები, რომელთაც უნდა გაენადგურებინათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები ომის შემთხვევაში. მაგრამ მან ასევე მიუთითა, რომ საბჭოთა კავშირი ვარაუდობდა ამ დივერსანტების გამოყენებას არასამარ პირობებშიც. მაგალითად, სეენიამ მოახსენა, რომ ვარშავის პაქტის ქვეყნების გაერთიანებული შტაბის საიდუმლო თათბირებზე განიხილებოდა ლონდონის მეტროში დივერსიების გეგმა „სერიოზული პოლიტიკური სიძნელეების" შემთხვევაში. ამ გეგმის თანახმად, კომუნისტური აგენტები წააქეზებენ, აგრეთვე, მასობრივ დემონსტრაციებს, ხოლო შემდეგ დაადანაშაულებენ ბრიტანეთის მთავრობას მეტროპოლიტენის შეგნებულ გაჩერებაში ხალხის პროტესტების თავიდან აცილების მიზნით.

სეენია პარტიის მდივნად დაინიშნა იმ მიზნით, რომ თვალყური ედევნებინა ჩეხოსლოვაკიის თავდაცვის სამინისტროს მუშაობისათვის, რისთვისაც რეგულარულად ესწრებოდა ვარშავის პაქტის ქვეყნების მეთაურთა სხდომებს, სადაც მიიღო მან ეს ინფორმაცია. ყველაფერი მის მიერ თქმული დაემთხვა იმას, რაც დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებისათვის უკვე იყო ცნობილი სხვა წყაროებიდან. მაგრამ დამოუკიდებელი ოფიციალური დასაბუთების გარეშე ძნელი იყო მისი განცხადებების მიღება. იმავე დროს კომუნისტური მზადებები დივერსიებისათვის მსხვილ ქალაქებში მშვიდობიან დროს იმდენად ეწინააღმდეგებოდა განუხტვის სულს, რომ ცოტა ვინმეს თუ უნდოდა დაეჯერებინა ყოველივე ეს.

სეენიასთან საუბრიდან ერთი თვის შემდეგ ჭკვიანმა და მიმზიდველმა 34 წლის რუსმა, სახელად ოლეგ ადილგის-ძე ლიალინმა ითხოვა და მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი ლონდონში. ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც პრესაში 1971 წლის 24 სექტემბერს გამოჩნდა, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყებოდა: „ეს კაცი, სუკ-ის ყოფილი თანამშრომელი, ფლობს ზოგიერთ ინფორმაციასა და დოკუმენტებს საბოტაჟის მიზნით აგენტების ინფილტრაციის გეგმების ჩათვლით". 2 ოქტომბერს „დეილი მეილ"-ი ციტირებას უკეთებდა „მნიშვნელოვან ბრიტანულ წყაროს", რომელიც წინასწარმეტყველებდა, რომ „პროცესი შეარყევს ქვეყანას". გაზეთი წერდა: „ყველაზე სენსაციური მხილება შეიძლება აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ რუსები აპირებდნენ დაენგრიათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები მშვიდობიან დროშიც კი". ორი კვირის შემდეგ დიდი ბრიტანეთის გენერალურმა პროკურორმა, სერ პიტერ რო�sონმა გაფანტა ყოველგვარი ეჭვი ლიალინისა და მის მიერ წარმოდგენილი მასალების მნიშვნელობის შესახებ. წერილობით პასუხში კითხვაზე, რომელიც დაუსვეს მას პარლამენტში, სერ პიტერი წერდა, რომ ლიალინს ეკავა „საპატიო პოსტი" სუკ-ის განყოფილებაში და მის მოვალეობაში „შედიოდა საბოტაჟის ორგანიზაცია გაერთიანებულ სამეფოში". გენერალური პროკურორი აგრძელებდა: „ბატონი ლიალინისათვის თავშესაფრის მიცემის შემდეგ არის სერიოზული საფუძვლები, რომ მისი პირადი უშიშროება საფრთხეშია, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ სუკ-ში მისი განყოფილების მოვალეობებში შედიოდა, აგრეთვე, ცალკეული ადამიანების მოცილება, სსრკ-ს მტრებად რომ ითვლებიან".

1972 წლის 17 აპრილს ლონდონიდან 1000 კილომეტრის დაშორებით გამოჩნდა დამტკიცებითი მტკიცებანი იმისა, რომ სუკ-ი აგრძელებს შექმნას დასავლეთში პოტენციური დივერსანტებისა და დაქირავებული მკვლელების ქსელი. კანადის ქალაქ ედმონტონში სადამოს ათის ნახევარზე ანტონ საბოტკამ დამთავრა მუშაობა და გაემართა თავისი მანქანისაკენ, რომ წასულიყო სახლში. სიბნელეს უცებ გამოეყო სამი კაცი და გარსშემოერტყა მას. მათ წარუდგინეს კანადის სამეფო პოლიციის პირადობის მოწმობები. „ჩვენ გვინდოდა" გასაუბრება თქვენთან", — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა. — მოგვეცით, გეთაყვა, თქვენი მანქანის გასაღები".

კანადელებმა საბოტკა წაიყვანეს უახლეს მოტელში. პოლიციის ეგვუფის უფროსმა შენიშნა: „მე ვეფერრობ, თქვენ იცით, რის შესახებაც გვინდა მოლაპარაკება".

საბოტკა მძიმედ დაეშვა სკამზე: „მე ვიცოდი, რომ ეს დღე მოვიდოდა, — უპასუხა მან. — შაგ ვარ გითხრათ ყველაფერი და მოვიხადო სასჯელი". ისტორია, რომელიც საბოტკამ უამბო ამ საღამოს და მომდევნო დღეებში, უჩვენებს, რამდენად საფუძვლიანად ეშაფდა სუკ-ი საზღვარგარეთ ნგრევების დაწყებისათვის შესაძლებლობისთანავე.

გაგრძელება იქნება

რა ღირს დეპუტატის მანდატი

შალომ ზმირინი

«კოტერეტ ხეიფა».

როგორც იქნა, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ისრაელის თითქმის ყველა მოქალაქეს შეუძლია გახდეს ქნესეთის დეპუტატი. ამისათვის საჭიროა გაითამაშოს თამაში სახელწოდებით „პრაიმერიზი“. ამ თამაშის ახალი წესების მიხედვით, დეპუტატები აირჩევიან მთელი ხალხის მიერ და არ ინიშნებიან პარტიების ან კომისიებისაგან.

ეხლა ყველაფერი იწყება ქისით და მისითვე თავდება. ეიალ ფარადისის სიტყვებით, რომელიც მომავალ კანდიდატებს გარკვეული თანხის საფასურად კონსულტაციებს უწევს, პრაიმერიზი ჯდება დაახლოებით 263800 შეკელი. აი, ესაა სულ. ახლა კი ყველა თქვენგანს შეუძლია გადაწყვიტოს, ღირს კი ეს ყველაფერი თავის ატკივებად, თუ არა.

გადმოალაგე მილიონის მეოთხედი და უკვე გაქვს შანსი. ღირს დასაფიქრებლად!

ძირითადი პრობლემა იმაშია, რომ ეს თანხა მხოლოდ თვით პრაიმერიზს ყოფნის. ქნესეთში ადგილის მოპოვების გარანტიას ვერავინ იძლევა.

აი, რამდენიმე ნაღვლიანი ციფრი. ქნესეთის დეპუტატის ხელფასი საშუალოდ შეადგენს 14 ათას შეკელს (ბრუტტო). გადასახადების გადახდის შემდეგ ხალხის რნეულს რჩება 8 ათასამდე. ამრიგად, თუ იგი გადაწყვეტს, კიდევ ერთხელ მას მოუწევს მთელი იმ ფულის დახარჯვა, რომელიც ორ წელიწადსა და რვა თვეში მიიღო პარლამენტის მძიმე შრომის შედეგად.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით საოლქო სიებით გამავალ კანდიდატზე. თუ ვინმე მოიწადინებს, წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პარტიისაგან, მაშინ, სპეციალისტების მიახლოებითი გამოთვლით, მას მოუწევს დაახლოებით მილიონი შეკელის დახარჯვა. საუბარია, ცხადია, რიგით პარტიულზე და არა მინისტრზე ან მთავრობის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელზე. ამ უკანასკნელთ აქვთ უფლება უფასოდ ისარგებლონ საზოგადო მოღვაწეებისათვის განკუთვნილი მომსახურებით, ფოსტით, სატელეფონო კავშირით და ამის გარდა, „იკვებებოდნენ“ საბიუჯეტო საშუალებებით, რომლებსაც გამოუყოფენ მთავრობას თვით ხმისმიცემის დღიდან.

მაგალითისთვის ავიღოთ სპიკერი შევახ ვაისი. მას სრულიადაც არ სჭირდება არავითარი მფარველები, რათა ერთი-ორჯერ გაიელვოს ტელევიზორის ეკრანზე ან მოათავსოს გაზეთში თავისი პორტრეტი სიტყვით. ეს კიდევ ანგელოზია მინისტრებთან, მაგალითად, მოშე შახალთან შედარებით. პრაქტიკულად შეუძლებელია გამოთვალო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რამდენს ხარჯავენ ფუნქციონერები თავისი პირადი პოლიტიკური საჭიროებებისათვის. ახალბედებს ძალიან უჭირთ მათთან გატოლება.

ოთხი წლის წინ არჩევნების ჩატარების ახალი წესები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა კანდიდატებისათვის. ბევრმა ვერ შესძლო დროულად შეეგროვებინა აუცილებელი თანხები. ამჯერად კანდიდატებს ჰქონდათ საკმაო დრო, რათა შეეფასებინათ ახალი სისტემის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე და შეეგროვებინათ ფული პრაიმერიზისათვის.

ამიტომაც საკმაოდ კომიკურად გამოიყურებოდა ავოდის პარტიის გადაწყვეტილება, რომ საოლქო სიებით გამავალ ყველა კანდიდატს მისცემოდა უფლება გამოეყენებინა წინასაარჩევნო კომპანიისათვის 50 ათასი შეკელი. შესატყვისი „ნებადართული“ თანხა პარტიისაგან კანდიდატისათვის მერყეობს 150-დან 200 ათასამდე. ფარადისის აზრით, ეს თანხა ეყოფა მხოლოდ საარჩევნო დღის ფინანსირებას. ცხადია, კანდიდატების რა მცირე ნაწილი დაიცავს პარტიისაგან დაწესებულ ჩარჩოებს.

მთელი ოთხი წელი, გასული წინასაარჩევნო კომპანიის დასაწყისიდან, იდგა კითხვა, იქნებოდა თუ არა ხაიფა და კრაიოტი ერთ საარჩევნო ოლქად. ჯერჯერობით გაურკვეველია, რა ზემოქმედება ექნება ამას არჩევნების შედეგებზე. არ არის ჯერჯერობით გარკვეული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი კანდიდატი იქნება საოლქო და რომელი პარტიული სიებით. ამასთანავე ბევრი პოლიტიკოსი, ვისი სახელიც ყველას პირზე აკერია, უახლოეს მომავალში მოიხსნის თავის კანდიდატურას. ამის გარდა, გაურკვეველია, როგორ იმოქმედებს ძალთა საერთო თანაფარდობაზე განხეთქილება ლიკუდაში. რაც შეეხება ავოდს, მიუხედავად ნაწინასწარმეტყველი დამარცხებისა, „ნონკონფორმისტების პარტიის“ ახალგაზრდა წევრებს არც თუ ისე ცუდი შანსი აქვთ წარმატებისათვის.

ღირს რამდენიმე სიტყვის თქმა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური კანდიდატი.

იდეალური კანდიდატი — ეს არის წარმატების მქონე მეცნიერი ან ეკონომისტი. ზომიერად ახალგაზრდა — 40—50 წლისა. იდეალური კანდიდატი — ეს გავლენიანი ადამიანია, სასურველია ეკავოს ქალაქის იერარქიაში არც თუ ბოლო ადგილი.

იდეალური კანდიდატი — ეს ნამდვილი მებრძოლია სიმართლისათვის და კორუფციის მოწინააღმდეგე. ამასთან არ არის სავალდებულო, რომ მას მდიდარი პოლიტიკური წარსული ჰქონდეს.

როდესაც ადამიანი აცხადებს სურვილს თავისი კანდიდატურის ქნესეთში წამოყენების შესახებ, მეგობრები და ახლობლები აღტაცებით ხვდებიან ამ ამბავს. მაგრამ დღეს ამომრჩევლებს ვერ მოატყუებ მხოლოდ ერთი ფრაზით: „ჩვენ თქვენთან ვართ!“

აი, ფარადისის ზოგიერთი რჩევა დამწყები კანდიდატისათვის:

დატოვეთ მაღალფარდოვნება ქნესეთისათვის. ისრაელის საზოგადოებას უყვარს, როცა მას თანასწორივით ელაპარაკები.

უკვე არჩეულიც კი ხშირად გამოჩნდით ხალხში. მაგალითად, ეცადეთ არ გამოსტოვოთ მატჩები „მაკ-კაბისა“ და „ხა-პოელის“ მონაწილეობით, განსაკუთრებით თუ ისინი ხაიფაში მიმდინარეობს. პერიოდულად მოინახულეთ ქალაქის თეატრები, მუზეუმები და არ დაივიწყოთ ხანდახან შეირბინოთ „მაკდონალდში“.

პერანგი ჯობია ატაროთ ისრაელური წარმოებისა. მისმა სიჭრელემ თავბრუ არ უნდა დაგახვიოთ. ჰალსტუხი ყველანაირ ამინდში უნდა იყოს ტუალეტის განუყოფელი ნაწილი.

თვალყური ადევნეთ თქვენს მოძრაობას: ფოტოგრაფების ყურადღებას ყოველთვის იპყრობენ კანდიდატები, როცა ისინი ან ამთქნარებენ, ან იქექებიან.

ადამიანებთან საუბრისას ნუ დაგეზარებათ მოაჩვენოთ, რომ უბის წიგნაკში შეგაქვთ ყველაფერი, რასაც ისინი გეუბნებიან. პატივმოყვარე თანამოსაუბრენი ამას არასოდეს დაგივიწყებენ.

ყოველთვის იცოდეთ პურისა და ავტობუსის ბილეთის ფასი, ასევე გახსოვდეთ კალათბურთისა და ფეხბურთის ჩემპიონატების ბოლო ტურის შედეგები.

ყოველთვის იჩქარეთ მოხვდეთ დემონსტრაციასა ან გაფიცვაზე და არავითარ შემთხვევაში არ წამოხვიდეთ იქიდან, სანამ არ შეპირდებით მონაწილეებს მათი ყველა პრობლემის გადაწყვეტას, თუ თქვენ მოგეცემათ ბედნიერი შემთხვევა, გახდეთ ქნესეთის დეპუტატი.

ყველა ეს წესი ეხება ქალებსაც. ამასთანავე, მათთვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამომწვევად ჩაცმა. აუცილებელია მკაცრი სახელმწიფოებრივი გამომეტყველების შენარჩუნება და არ არის საჭირო საუბარი საკუთარი მშფოთვარე წარსულისა ან ახლანდელი ცხოვრების შესახებ.

ასე რომ, გაბედეთ, ბატონებო!..

მოამზადა
ლელა ჯაფარიძემ

პირველი გვერდიდან

სამშობლო დედის ძუძუი, თურმე იცვლება სხვაზედა

დგება დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა და რაც ადრე მოხდება მისი სრული ლიკვიდაცია, „ნანატრი ცხოვრებაც“ თავისით მოვა.

ამ მიმართულებით სიღნაღის რაიონის ამჟამინდელი ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს. პირველ რიგში თითქმის ძველებურად აღსდგა ყოველკვირეული პარტიულ სამეურნეო აქტივის კრება, სადაც ფართო ადგილი ეთმობა სწორედ განსხვავებული პოზიციის დევნას. ბუნებრივია უნდა მოისპოს დემოკრატიის ნებისმიერი კვალი.

სხვა რაიონების მსგავსად სიღნაღის რაიონსაც ჰქონდა და აქვს კიდეც ოფიციალური რაიონული გაზეთი. მას ჯერ „კოლმეურნე“ ერქვა, შემდეგ სახელი შეიცვალა და „ქიზიყი“ ეწოდა. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის მცირე მონაკვეთში ადგილობრივ გაზეთს მოსცილდა დევიზი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ და მის ნაცვლად დევიზად წარემძღვარა: „სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“. ხოლო კომპარტიისა და აღმასკომის ორგანოს ნაცვლად წაეწერა „თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი“. შემდეგში ესეც ჩამოსცილდა და დარჩა მხოლოდ სიღნაღის რაიონის გაზეთი.

გაზეთი მცირე დროით მართლა წააგავდა თავისუფალ გაზეთს. მაგრამ შემდეგში . მიუხედავად თავისი დევიზებისა, იგი კომუნისტების მობრუნებისთანავე, მათ ერთგულ გაზეთად იქცა. ათასში ერთხელ თუ გაიელვებდა რაიმე, ოდნავ მათთვის უჩვეულო.

რაიონში პირველ კაცად ვაჟა ცაბუტაშვილის დანიშვნის შემდეგ, (ეს ტიპიური კომუნისტი ფუნქციონერი, ყოფილი მეორე მდივანი, რომელიც თავდაპირველად დემოკრატის ნიღაბს ეთამაშებოდა), რაიონში მისი თაოსნობით შეიქმნა კიდევ ერთი გაზეთი „მერანი“, ეგრეთ წოდებული რაიონის „ახალგაზრდული დამოუკიდებელი გაზეთი“. თავდაპირველად თვით გაზეთის მესვეურნიც ღია დემოკრატიას ქადაგებდნენ, თუმცა ეს პრინციპები მესამე გვერდამდეც ვერ მიჰქონდათ.

დროის მცირე მონაკვეთში გაზეთები იმდენად დაექვემდებარნენ რაიონის ხელისუფლებას, რომ მათზე ყოველგვარი წარწერები ფორმალური იყო. ამიტომ ეს საკითხიც დროულად მოგვარდა: გაზეთ „ქიზიყს“ მოსცილდა დევიზი: „სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“, მოსცილდა წარწერაც „რაიონის გაზეთი“ და იგი ყოველგვარი დევიზის გარეშე გამოცხადდა: „სიღნაღის რაიონის გამგებლობის და საკრებულოს გაზეთად“.

გაზეთმა „მერანმაც“ შეწყვიტა უაზრო ქროლა და ჩამოყალიბდა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის და მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის გაზეთად“.

რაიონის „გამგეობა“ ხომ იგივე „მოქალაქეთა კავშირია“ და პირიქით... როგორც მაიაკოვსკი წერდა ლენინზე და პარტიაზე, ასეთივე ანალოგიაა — ახსენებ გამგეობას, იგულისხმება „მოქალაქეთა კავშირი“, ახსენებ „მოქალაქეთა კავშირს“, იგულისხმება გამგეობა. უფრო მეტიც, ეს ორივე გაზეთი ერთი და იგივეა და მათ უკან იგულისხმება რაიონის გამგებელი ბატონი ვ.ცაბუტაშვილი.

ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვე დალოცვილებო — ვაჟას სტრიქონი „სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“ — რაღას გიშლიდათ?

მაგრამ რეალობა ხომ რეალობაა, „დედის ძუძუ“ სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელობისათვის მხოლოდ „მოქალაქეთა კავშირია“. ძუძუს [illegible] ვებთ მათ, უფრო მეტიც, დედის ძუძუთი შეიძლება მხოლოდ შვილი, ერთი. ადამიანი გამოკვებო, „მოქალაქეთა კავშირით“ კი საკუთარი თავიც, ოჯახიც და ახლობლების ფართო წრეც.

ინფორმაციის საშუალებების მოწესრიგების შემდეგ, გრძელდება ინტენსიური პრაქტიკული საქმიანობა. როგორც პარტიული აქტივის კრებებზე, ასევე სხვა თათბირებზე, ხშირად გაისმის: „არსებობს ერთი პოლიტიკური პარტია „მოქალაქეთა კავშირი“; არსებობს ერთი პიროვნება. ედუარდ შევარდნაძე. ეს კარგად უნდა იცოდეს ხელმძღვანელმა. ვინც სხვა კანდიდატს (იგულისხმება მიმდინარე საარჩევნო კომპანია) დაუჭერს მხარს, ის ორგანიზაცია წარმოადგენს ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციას. ასეთია წინასაარჩევნო სიტუაცია ჩვენს რაიონში.

თენგიზ ბეჟაური

კროსვორდი



თარაზულად: 1. კედლის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ქვით 3. მე-17 ს-ის ქართველი მხედართმთავარი 5. სპორტული სირბილი დაბრკოლებების გადალახვით 7. მონგოლთა ხანების ნაცვალი დაპყრობილ ქვეყნებში 8. გაერთიანება სამეურნეო საქმიანობის სფეროში 9. საბჭოთა პერიოდის გამოჩენილი მეცნიერი, ფიზიკოსი 10. რაიმე ამბის ერთი მომენტი 11. ძირეული ხმოვნის ცვლა 13. სამარხი 15. სვეტი, რომელზედაც დადგმულია ბიუსტი 16. სამსტრიქონიანი სტროფი 17. ბწკარი 19. ბერძნული ანბანის ასო 20. მე-20 ს-ის დიდი კინორეჟისორი და მსახიობი 21. ქათმის სკორე 23. საგნის გარეგანი მოხაზულობა 25. დესერტი 26. მუსიკალური გამის მესამე საფეხური 27. დელიბის ოპერა 28. სოფელი გარდაბნის რ-ნში 29. ხუთმუხლიანი და თორმეტმარცვლიანი ურიმო ლექსი ძვ.ქართულ სასულიერო პოეზიაში 30. მსაჯი

ზვეულად: 1. ორატორული ხელოვნება 2. სასტამბო სახაზავი 3. ლექსის ფორმა 4. საფლავის ქვაზე წარწერა 6. აყალმაყალი, 12. ერთი სიმაღლის რამოდენიმე ტონის ჟღერა 14. ჯარი 18. ყველაფერი ის, რაც უჩვეულოა, თვალწარმტაცი 20. მთა და მდინარე ბორჯომის რაიონში 22. ტექნიკის დარგის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი 23. აღორძინების ხანის გამოჩენილი იტალიელი ფერმწერი.

ლეო ფილფანის ხსოვნას

ჩა ლევანის სიკვდილის ცნობა.

ატირდა დიდი და პატარა. შენს დიდებულ ეზო-გარემოში 29 აგვისტოს, გლოვა იყო. ისმოდა კივილი, ზარი, გოდება. დაგტიროდა ლეო შენი სვანეთი, რომელმაც შვილი, უძვირფასესი შვილი დაკარგა.

პირქუშად დგანან შენი თეთნულდი, უშბა, შხარა — მწუხარება გამეფებულა მათ საუფლოში. ტირის სვანეთი, ტირის ლენჯერი, ტირის ქაშვეთი. ისინი სამუდამოდ გემშვიდობებიან ლეო, შენ ხომ ხოჩა მარე იყავი.

აქ სვანეთი დაგტიროდა, თბილისში კი, შენ საყვარელ დედაქალაქში, მთელი საქართველო. უკანასკნელ გზაზე გაგაცილეს შენმა ნათესავებმა, მეგობრებმა და შენმა ერთადერთმა ძმამ შამილმა.

წახვედი და წაიყოლე მადლიერი ხალხის სიყვარული, შენ ხომ სათნო, პატიოსანი, უმწიკვლო ადამიანი იყავი, შენ იცოდი, რომ მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნებაა ადამიანის შემამკობელი.

ძვირფასო ლეო, დღეს უფრო ძვირფასი ხარ, შენი კუთხისთვის, შენი საქართველოსთვის. დღეს უფრო საჭირო ხარ...

სიცოცხლეში არ გაგიფრთხილდით, არადა სწორედ სიცოცხლეში უნდა დავაფასოთ შენნაირი ადამიანები, თორემ თითზე ჩამოსათვლელი დაგვრჩნენ ისინი.

ძვირფასო ლეო, შენი განვლილი გზა არის ნათელი გზა — სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანისა.

ბინდით იყო მოსილი სვანეთი, მიუხედავად მზიანი ამინდისა. რაღაც საშინელს მოელოდა ადამიანი და ეს საშინელება იყო ხო-

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშპინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი: 40 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99
93-18-41